



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 9 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ფილოსოფიის დოქტორი 1006
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გეორგ ლომანი, პროფესორ-ემერიტუსი, მაგდებურგის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ბოჭორიშვილი, პროფესორი, დოქტორი, პრო-რექტორი, უნივერსიტეტი „გეომედი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ნადირაშვილი, სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა 2018 წელს შემუშავდა, ხელოვნებისა და მეცნიერებათა სკოლის მეზობელი დარგების სადოქტორო პროგრამის გამოცდილებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. სადოქტორო პროგრამის ამოცანები მკაფიოა და განსაზღვრული, თუმცა საკვლევი თემების დიპაზონი ძალიან ფართოა. პროგრამას ძლიერი თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან (სამეცნიერო ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან, პროფესორებთან). პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ კანონებს, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა წესებსა და რეგულაციებს. უნივერსიტეტს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები აქვს ფილოსოფიის პროგრამის განსახორციელებლად.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტი განახორციელა 2018 წლის 9 ნოემბერს. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის მმართველობას, პროგრამის ხელმძღვანელობას, აკადემიურ პერსონალს, თვითშეფასების ჯგუფს, სტუდენტებს (მეზობელი დარგებისა და ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს). ჯგუფი ასევე ეწვია ბიბლიოთეკას, კვლევით ცენტრს და უნივერსიტეტის სხვა ობიექტებს.

ინტერვიუების დროს ცხადი გახდა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პირადად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებასა და თვითშეფასების ანგარიშის დაწერაში. პერსონალს აქვს უნივერსიტეტისადმი მიკუთვნების შეგრძნება და ამაყოფნ ახალი პროგრამით. პერსონალს გააზრებული აქვს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს შეესაბამება. პროგრამის განვითარების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რჩევა (იხილეთ ქვემოთ).

▪ რეკომენდაციები

- ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაცია

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სადოქტორო პროგრამის მომავლისთვის, სასურველია გაითვალისწინოთ თემატური კონცენტრირება (იხ. დამატება 2);
- მიღების ჟურნალის გამოქვეყნებისთვის დადასტურება ჩაითვალოს საკმარისად (იხ. დამატება 3).
- რამდენადაც პროგრამა ახალია, სასურველია, რომ პროგრამის შედეგების შეფასება და პროგრამი სამიზნე ნიშნულების მიღწევის შესაძლებლობა პირველად განიხილოთ 6 წელზე უფრო ადრე (მაგალითად 3-4 წელში).

- განსაზღვრეთ დოქტორანტურის სტუდენტების პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ფართო ხედვა პრაქტიკულ ფილოსოფიაში და მათი დასაქმების შესაძლებლობები, გარდა კვლევისა და აკადემიურ კარიერაში.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - აკადემიური წერის ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური წერის უნარების განვითარების სერვისებს (კლასგარეშე), რაც ეხმარება დოქტორანტურის სტუდენტებს მიაღწიონ სამეცნიერო კვლევით მიზნებს.
 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა კარგად არის განსაზღვრული. უნივერსიტეტს აქვს მკაფიო სტრატეგიული გეგმა და მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რაც აისახება ხელოვნებისა და მეცნიერების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებში.
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ამოცანაა, მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური, ორიგინალური კვლევის დაგეგმვას ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებში (ონტოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ესთეტიკა, ეპისტემოლოგია, სოციალური თეორია და სხვა) და მის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“. (თვითშეფასების ანგარიში 15.06.2018).

ამ ამოცანის შესასრულებლად, პროგრამა გვთავაზობს 4 ქვე-ამოცანის მიღწევას პროგრამის სხვადასხვა და მომდევნო ფაზებზე. ეს ამოცანები და მათთან შესაბამისი სასწავლო ფაზები ჯერ აღწერილია, შემდეგ კი შეფასებული. შეფასების დროს, ასევე გათვალისწინებული იქნება დისკუსიები პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან, რამდენადაც მათ თავდაპირველი საკითხები განაგრცეს.

1. მომზადებისა და კონსოლიდირების ფაზა (1-2 სემესტრი), დისერტაციის სამუშაო ვერსიის შექმნის მიზნით. სადოქტორო სემინარების მიზანია, დოქტორანტურის სტუდენტის სამეცნიერო ცოდნა და უნარები აიყვანოს სათანადო, მაღალ სტანდარტზე.
2. დისერტაციის მომზადება (მე-3 სემესტრიდან მე-10 სემესტრამდე). კვლევითმა სემინარებმა, (მე-3-მე-7 სემესტრები), ინტენსიურმა ზედამხედველობამ და თანამშრომლობამ, ასევე საერთაშორისო კონტაქტებმა ხელი უნდა შეუწყონ დისერტაციაზე მუშაობის პროცესს. დოქტორანტურის კანდიდატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს და განიხილოს თავისი ნაშრომის საფეხურები და შედეგები კომპეტენტურ კომიტეტებთან (ხელმძღვანელებთან/დარგობრივ კომისიასთან და სხვა).
3. სამეცნიერო ნაშრომის მომზადება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში (მე-6 სემესტრი). მიზანს წარმოადგენს იმის ხელშეწყობა და დამტკიცება, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ცოდნა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. საერთო ჯამში, მიზანია სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო სტანდარტის ამაღლება, რომ იგი გახდეს შედარებადი და მიმზიდველი საერთაშორისო დონეზე.
4. ასისტენტობა (მესამე სემესტრიდან?). აკადემიურ სწავლებაში პრაქტიკის გავლით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის საგანმანათლებლო საფეხურს (ინსტრუქტაჟებიდან დაწყებული დამოუკიდებელი სემინარით დამთავრებული,

მაგალითად საუნივერსიტეტო „დიდებული წიგნების კურსები“), მის სამეცნიერო შესაძლებლობებს კვლევაში, ამასთან სწავლება უნდა განვითარდეს და წახალისდეს.

შეფასება

- საერთო ჯამში, პროგრამის ქვ-ამოცანები გამოწვევებთანაა დაკავშირებული, რაც ხსნის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობას (10 სემესტრამდე). თუმცა, ისინი აკმაყოფილებენ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს. თუკი პროგრამის ამოცანებს შევადარებთ მაგალითად გერმანიის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამას (სადაც, ამ პროგრამის შემფასებელმა პირმა უკვე ჩაატარა რამდენიმე აკრედიტაცია მსგავს სასწავლო პროგრამებზე), წინამდებარე პროგრამა ერთი შეხედვით ძალიან მომთხოვნი და შესაძლოა გადატვირთულიც კი ჩანს. თუმცა, პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან დისკუსიების შედეგად, ნათელი გახდა, რომ არსებობს კარგი და დამაჯერებელი მიზეზები, პროგრამის ზემოთხსენებული ოთხივე ქვე-ამოცანისთვის.

დამატება 1: ქვეამოცანა 1 (მოსამზადებელი ფაზა) ყველაზე საჭირო შემთხვევებში უნდა აიხსნას „Catch-up work“-ით, რაც მოცემულია ფაქტობრივი, საქართველოს სტუდენტების განსხვავებული საგანმანათლებლო სტანდარტებით. ამასთან ერთად, სწორად არის მოსალოდნელი, რომ ასეთი მხარდაჭერილი მოსამზადებელი ფაზა სადისერტაციო პროექტის მომზადებისთვის, დოქტორანტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს უკეთესი და უფრო მდგრადი გადაწყვეტილებები თავისი თემისთვის და ზოგადად დისერტაციის წერის რისკებისთვის. სავარაუდოდ, ამით თავიდან აიცილებთ მომავალ წარუმატებლობას.

- **დამატება 2:** დისერტაციის შესაძლო თემები ამჟამად განსაზღვრულია ფილოსოფიური ინსტიტუტის სამეცნიერო ფოკუსით. ჩამოთვლილი დარგები: „ონტოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ეთიკა, ესთეტიკა, ეპისტემოლოგია, სოციალური თეორია და სხვა“ ძალიან მრავალფეროვანია. (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ.7). ეს აევე შესაძლოა მისაღები იყოს სადოქტორო პროგრამის საწყისი ფაზისთვის, რამდენადაც იგი დოქტორანტთა შერჩევის მაქსიმალურად ფართო შესაძლებლობას იძლევა და შესაბამისი კანდიდატები უკვე სამიზნეები არიან. მიუხედავად ამისა, თემატური კონცენტრირება უნდა გაითვალისწინოთ სადოქტორო პროგრამის მომავლისთვის, იმისათვის რომ სტუდენტებს შესთავაზოთ სამი კომპონენტის ლექტორები (პროფესორები) მათი დისერტაციის თემატური დარგის შესაბამისად, ინსტიტუტის მხრიდან. ეს მხოლოდ გაზრდის ზედამხედველობასა და სამეცნიერო სტანდარტს.

-დისერტაციის მომზადების ოფიციალური რეგულაცია ძალიან დამაკმაყოფილებელია.

დამატება 3: სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში. აქაც, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ დამატებითი კვალიფიკაცია არაა აუცილებელი, რადგან პროგრამა დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ იგი გადაიტვირთოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც დისკუსიამ გამოავლინა, რომ აღნიშნული საკითხისთვის კარგი მიზეზები არსებობს. პირველ რიგში, განმარტეს, რომ გამოსაქვეყნებელი ნაშრომის თემა უნდა მომდინარეობდეს დისერტაციის თემიდან. მეორეც, მისი მიზანია უზრუნველყოს ფილოსოფიური სამუშაოს საერთაშორისო დონეზე სავალდებულო კვალიფიკაციის მტკიცებულება, რაც საჭიროა, როგორც ეროვნული ასევე უნივერსიტეტის მოთხოვნებითა და საქართველოში სამეცნიერო მუშაობის ამოცანებით. შემფასებელი მხოლოდ თუ

დაეთანხმება ამ შეფასებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროის ხანგრძლივობა, რაც საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომის მიღებას, გადახედვასა და გამოსაქვეყნებლად დამტკიცებას სჭირდება, შესაძლოა პრობლემა გახდეს, რაც ხშირად ხანგრძლივდება რეალურად გამოქვეყნების დროითაც. აქ რეკომენდაცია იქნება (თუმცა ეს აშკარად შეუძლებელია ამჟამინდელი სამართლებრივი რეგულაციით), არ დაელოდოთ დებატებს სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებამდე, არამედ საკმარისად მიიღეთ სამეცნიერო ჟურნალის მიერ სტატიის გამოქვეყნების დასტური.

დამატება 4: სასწავლო საქმიანობა და ასისტენტობა, რაც თან ახლავს სადოქტორო პროგრამას, ორიენტირებული უნდა იყოს დოქტორანტის მიერ მიღწეული ცოდნის დონეზე. ზედამხედველი გუნდი პასუხისმგებელი უნდა იყოს სათანადო შეფასებაზე. საერთო ჯამში, დოქტორანტის ხელშეწყობისა და სწავლებისა და კვლევის გზით, მისი სამეცნიერო კვალიფიკაციის მოთხოვნის მიზანი, მისასაღებელია.

დისკუსიებზე თითოეული ქვეამოცანის უკეთესად აღქმის საფუძველზე, პროგრამის ამოცანის შეფასება, რომ მას სურს მოამზადოს ინოვაციური და საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარები ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებში, დადებითია. ამ მხრივ, ფილოსოფიური კვლევის სხვადასხვა დავალები საზოგადოებისთვის შესაძლოა ადეკვატურად შესრულდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან
- მეზობელი დარგების სტუდენტებთან ინტერვიუ
- სტუ-ს თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- სხვა კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სადოქტორო პროგრამის მომავლისთვის, სასურველია გაითვალისწინოთ თემატური კონცენტრირება (იხ. დამატება 2);
- მიღების ჟურნალის გამოქვეყნებისთვის დადასტურება ჩაითვალოს საკმარისად (იხ. დამატება 3).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, კურსის დასრულების შემდეგ, მოეთხოვებათ საკუთარი წვლილი შეიტანონ დარგში. მთავარი შედეგი იქნება აღნიშნულ დისციპლინაში პროფესიონალად მუშაობის შესაძლებლობა, რაც ეყრდნობა კრიტიკულ აზროვნებასა და მაღალი დონის კოგნიტურ უნარებს. პროგრამას აქვს სწავლის შედეგების მთელი რიგი, რომელიც ხაზს უსვამს ცოდნას, უნარებსა და შესაძლებლობებს, რომელთაც დოქტორანტები დაეუფლებიან თავიანთი პროგრამის დასრულებისას. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სამიზნე პარამეტრებად განსაზღვრულია 3 წინასწარი შეფასების კომპონენტი: პროსპექტუსი ან დისერტაციის კვლევის პროექტი, ერთი სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და სადისერტაციო სამუშაო. სტუდენტის მოსწრება შეფასების ამ საზომებით, გაანალიზდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რათა დაადგინოს რამდენად წარმატებით ეუფლებიან სტუდენტები პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების მონაცემები გაანალიზდება 6 წელიწადში ერთხელ, მას შემდეგ რაც შესრულდება პროგრამის განხორციელების პირველი ციკლი. ანალიზს ჩაატარებს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და პროგრამის სამუშაო ჯგუფი.

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. რამდენადაც პროგრამა ახალია, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა ფაკულტეტზე ამჟამად არსებული

დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების მონაცემთა გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი 6 წელია (იხ. თვითშეფასების ანგარიში გვ.14). რამდენადაც პროგრამა ახალია, სასურველია, რომ პროგრამის შედეგების შეფასება და პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევის შესაძლებლობა პირველად განიხილოთ 6 წელზე უფრო ადრე (მაგალითად 3-4 წელში). საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია, ადეკვატურია მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და განახლების შესამე ციკლისთვის. უნივერსიტეტს აქვს კურიკულუმის რუქა. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრების შედეგები ○ სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ○ ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის წესდება, სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო პროგრამა, ○ პროგრამის განხორციელების შეფასების წესი ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რამდენადაც პროგრამა ახალია, სასურველია, რომ პროგრამის შედეგების შეფასება და პროგრამი სამიზნე ნიშნულების მიღწევის შესაძლებლობა პირველად განიხილოთ 6 წელზე უფრო ადრე (მაგალითად 3-4 წელში).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა: ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ისინი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შეესაბამება პროგრამის შინაარსს. სტუდენტის მიღების პროცესი დაყოფილია ორ ეტაპად: 1. დაშვების წინაპირობად უნივერსიტეტმა დააწესა მაგისტრის ხარისხი შესაბამის დარგში (კონკრეტული სპეციალობა არ არის განსაზღვრული) და ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (ეს უნდა დამოწმდეს ან ენის სერტიფიკატით ან შიდა გამოცდის ჩაბარებით, რომელსაც უნივერსიტეტი

ჩააბარებს); 2. მაგისტრის ხარისხის მქონე და ინგლისური ენის სრულყოფილად მცოდნე კანდიდატები გადიან ზეპირ გამოცდას დარგობრივ კომისიასთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ზეპირი გამოცდის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, რომლებიც კარგად არის ჩამოყალიბებული. ზეპირი გამოცდის ჩაბარება დარგობრივ კომისიასთან და ინგლისური ენის ცოდნა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტის ჩარიცხვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრების შედეგები ○ სადოქტორო პროგრამა ○ პროგრამაზე დაშვების პროცედურები და შეფასების სისტემა; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.iliauni.edu.ge; ○ ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის წესდება, სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო პროგრამა; ○ დარგობრივ კომისიასთან ზეპირი გამოცდის შეფასების ფორმა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხანგრძლივობა 3-5 აკადემიური წელია და მოიცავს საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი განსაზღვრულია საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ. საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება სადოქტორო პროგრამის მთავარი მოთხოვნაა. პროგრამის შეფასება გამჭვირვალეა. პროგრამის კურიკულუმი შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. ჩატარდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების კვლევა და პროგრამის საბოლოო შედეგები გადაეგზავნა ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად. პროგრამის შინაარსი შეესაბამება განათლების მესამე ციკლს. პროგრამა ეყრდნობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და შედგება 180 კრედიტისგან. აკადემიური კომპონენტი გულისხმობს 60 კრედიტის დაგროვებას ლექციებსა და სემინარებზე, კვლევით სემინარებსა და ასისტენტობაში. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები
- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები;
- კურიკულუმი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და შეჩერების წესი და პროცედურები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის წესდება, სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო პროგრამა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. კურსის სილაბუსები აღწერს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებს. კურსის მიზნებით განსაზღვრული, სწავლის თითოეული შედეგი ექვემდებარება შეფასებას. პროგრამის აკადემიური და კვლევითი კომპონენტების ამოცანები დასტურდება სილაბუსების შინაარსით, სწავლის მეთოდებითა და კრედიტების რაოდენობით. სადოქტორო :ვორქ-შოფი“ (12 კრედიტი), კვლევითი სემინარები (24 კრედიტი), კურიკულუმის შემუშავება და სწავლება და შეფასების სტრატეგია უმაღლეს განათლებაში (6 კრედიტი), ასევე აკადემიური ნაშრომის დაწერა (6 კრედიტი), ყოველივე ეს

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საერთო ჯამში, თითოეული კურსის კრედიტების რაოდენობა შეესატყვისება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრების შედეგები ○ სადოქტორო პროგრამა ○ კომპეტენციის რუქა ○ სილაბუსები; ○ კურსის შეფასების მექანიზმი და კითხვარი, ○ ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის წესდება, სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო პროგრამა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მრავალი აქტივობა ხორციელდება, რომლებიც უზრუნველყოფს სამომავლო კვლევისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას დოქტორანტებში, ასევე რომლებიც მხარს უჭერს მათ კვლევით პროექტებს. აღსანიშნავია ე.წ. „პასკალის ჯილდო“ (3000 ლარი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს ხელს უწყობს ჩაერთონ კვლევაში, სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო მობილობაში და სხვა. დეპარტამენტი ხელს უწყობს დოქტორანტებს, მოემზადონ ერთობლივი სადოქტორო ნაშრომები, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე უცხოელი კონსულტანტი მზადაა დახმარება გაუწიოს სტუდენტს გადაწყვეტილებების მიღებაში ისეთ საკითხებზე, რომლებიც კვლევით კომპონენტს ეხება, დაიგეგმოს კონფერენციები, სეზონური სკოლები და სხვა. სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების ჩართულობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და მიმდინარე კვლევით პროექტებში. სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ იგეგმება ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო სკოლის შექმნა, რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროგრამებს (ერთობლივ სადოქტორო პროექტებს), რომლის მეშვეობითაც დოქტორანტები შეძლებენ ორმაგი ან თუნდაც მრავალმხრივი ხარისხის მოპოვებას. აღნიშნული საერთაშორისო სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ, დისციპლინათაშორის და საერთაშორისო აკადემიურ კულტურასა და კვლევით გარემოს თავისი დოქტორანტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები
- სადოქტორო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი www.iliauni.edu.ge;
- უცხოელი კონსულტანტების თანხმობის წერილები.
- განვითარების სამსახურის დებულება- ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf>
- სამეცნიერო კვლევითი კოორდინაციის განყოფილების დებულება; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf>
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46577.pdf>

○ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება „პასკალის ჯილდოს“ დაწესების შესახებ. ხელმისაწვდომია ილიას უნივერსიტეტის კანცელარიაში, ○ საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დოკუმენტები და Leman-Haupt-ის პროგრამა (დებულება, საგრანტო ხელშეკრულებები). ○ ჩარჩო ხელშეკრულება სადოქტორო დონეზე თანამშრომლობისთვის; ○ თანახელმძღვანელობის შესახებ ხელშეკრულება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები გამოიყენება შემდგომ პროგრამებში: ლექციებზე, დისკუსიებზე, დებატებზე, ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოებზე და სხვა. პროგრამის კვლევითი და

აკადემიური კომპონენტები მოიცავს სწავლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება აკადემიური შედეგების კომპონენტს. ეს უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომელიც მანამდე განისაზღვრა პროგრამის მიერ. სწავლის გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა სხვადასხვა მოთხოვნებს, სწავლისა და სწავლების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ლექტორებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა შესაძლებელია სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე „არგუსის“ გამოყენებით ან კორპორატიული ელექტრონული ფოსტით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები ○ სადოქტორო პროგრამა ○ გასაუბრების შედეგები ○ სისტემა „არგუსი“ https://argus.iliauni.edu.ge.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია სადოქტორო პროგრამის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამა „არგუსის“ მეშვეობით, რომელიც მათ აცნობს სილაბუსებს და შეფასების კრიტერიუმებს. გამჭვირვალეობა გარანტირებულია და პროცესი რეგულირდება წინასწარ განსაზღვრული ფორმითა და წესებით. შუალედური და ფინალური შეფასებები ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნის სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა მოიცავს გამჭვირვალე კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება კურსს.

პროგრამა „Moodle“-ში ჩატვირთული ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, პროგრამა „ტურნიტინის“ გამოყენებით. დოქტორანტები საკუთარ მიღწევებზე და განვითარების შესაძლებლობებზე უკუკავშირს იღებენ აკადემიური პერსონალისგან ონლაინ სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას დოქტორანტსა და პროფესორებს შორის და იძლევა სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზის შესაძლებლობას ავტომატურ რეჟიმში, თითოეული კურსის ფარგლებში. პროფესორებთან გატარებული საკონსულტაციო საათებიც ძალიან სასარგებლოა. უნივერსიტეტში დაწესებულია მიმოხილველი აკადემიური მიღწევების მექანიზმები. ხელმძღვანელებისთვის ანგარიშის ჩაბარება და პერიოდული უკუკავშირი უზრუნველყოფს დისერტაციებისა და თემის კონცეფციის მაღალ სტანდარტს და სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო სწავლების რეგულაციები ითვალისწინებს შესაბამისი საერთაშორისო პუბლიკაციების პრეზენტაციას. სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია (იხ. სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია, დანართი 3), და ნაშრომის დაცვის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. დისერტაცია საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები კი გამჭვირვალე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დისერტაციის ნაშრომის კონცეფცია,
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში თანდართული კურსების სილაბუსები.
- სისტემა: არგუსი www.argus.iliauni.edu.ge,
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოს და სადოქტორო პროგრამის დებულება.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი.
- სისტემები <http://moodle.iliauni.edu.ge>,
- სისტემა <http://turnitin.com>,
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ დოკუმენტაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ხელოვნებისა და მეცნიერებათა სკოლის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ინდივიდუალური სასწავლო/კვლევითი განრიგის დასაგეგმად და კარიერული განვითარებისთვის.

ელექტრონული სისტემა „არგუსი“ უზრუნველყოფს სტუდენტებს მთელი სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებისა და მონიტორინგის შესაძლებლობით. „არგუსის“ მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო კურსების სილაბუსებს. კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან სწავლის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებზე.

